

572  
1055

საქართველო  
შინაგარეო ურთიერთობების  
მინისტრის

# ღელა

თარგმანი: ტურა კვარაცხელიძე  
დასმული: თეიმურაზ შანგიანი  
და სურს, ქართველი, სრულიად  
სამშობლო კავშირები.

№ 3 საბავთბავსო ანაკ ადგილობრივი კომიტეტის  
შეგანი მიმართულებების 824811  
1955



# სტადინი

ლენინის დროშით ქვეყანა  
მიჰყავდა შეუჩურობლად,  
ის გვწრდიდა დიდს და ჰატარას  
გულმტკიცე ლენინელებად.

ეკლავ გვიხმობს კარგად ვისწავლათ,  
გვიხმობს — სამშობლო ვაშენოთ,  
გვკონია, ნახავს ჩვენს სუთებს  
და გვეტევის: უჩინად, ბავშვებო!

ის ჩვენთან არის... სიკვდილი  
ვერ მოერია გოლიათს.  
დიდის მსე ამოძვალდი  
მისი ღიძილი გვკონია.

გვკონია, კრემლში დიღამდე  
მუშაობს, არა სცალია,  
ცისკრის ვარსკვლავიც ბელადის  
ჩიბუსის ნაწერწკალია.

დროშებზეც, წითულ დროშებზე  
მისი ღიძილი ანთია.  
კომუნისმისკენ მიგვიძღვის  
მისგან ნაწრთობი ზარტია.

იოსებ ნონაშვილი



იოსებ ბესარიონის-ძე  
სტალინი





# ავღაბრის არაღვალური სტამბა


თბილისში, კასპის ქუჩის ბოლოში, გამგელების ყურადღებას იპყრობს ერთ-სართულიანი სახლი ორი ოთახით; ამ სახლის ქვეშ თითქმის ორწელიწადნახევარს (1903 წლიდან 1906 წლამდე) მუშაობდა საიდუმლო სტამბა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. აქ იბეჭდებოდა გაზეთები, წიგნები, ბროშურები, ფურცლები, რომლებიც ვრცელდებოდა მუშებში.

მეფის მთავრობა სასტიკად დევნიდა რევოლუციონერებს, კრძალავდა თავისუფალ აზრსა და სიტყვას; ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს დაეარსებინათ ფარული სტამბა, რათა მშრომელები დაერაზმათ ბრძოლისათვის. არაღვალური სტამბის მოწყობა რთული და ძნელი საქმე იყო, — მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს, საქმისათვის თავდადებას, მტკიცე დისციპლინას. ამისათვის შეარჩიეს ყველაზე სანდო და ერთგული მუშები, რომელთა ხელმძღვანელად გამოცდილი რევოლუციონერი მიხა ბოჭორიძე ითვლებოდა.

საიდუმლო სტამბის აშენება გადაწყდა ავღაბარში, რკინიგზის მუშის როსტომაშვილის ნაკვეთზე. პოლიციას ექვი რომ არ აელო, შეადგინეს ასაშენებელი სახლის ორი გვემა: ერთი, ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის სახით, დასამტკიცებლად წარადგინეს ქალაქის მმართველობაში, ხოლო იმავე სახლის მეორე გვემას — ფარული სარდაფით და საიდუმლო ჩასასვლელით დახაზულს, თვითონ ინახავდნენ საიდუმლოდ. მიწის ნაკვეთი ფიცრულით შემოღობეს და მუშაობას შეუდგნენ.

ყველაზე საიდუმლო სამუშაო მინდობილი ჰქონდათ რევოლუციონერ მუშებს, კალატოზ ქმებს მალრადეებს და ღურგლებს — ქმებს ჩოდრიშვილებს.

ისე ოსტატურად იქცეოდნენ მშენებლობის ხელმძღვანელები, რომ დაქირავებული მიწისმთხრელი მუშები სრულეობით ვერაფერს ხვდებოდნენ. სარდაფისათვის ღრმა ორმოს რომ თხრიდნენ, დარწმუნებული იყვნენ: მწვანელით და ხილით მოვაჭრე სახლის პატრონს მაცი-



653

ვარს ვუმზადებთო; ხოლო საიდუმლო ჩასასვლელისათვის განზრახულ ჰეს ვინც თხრიდა, მათ ეგონათ, ეს ჰა სახლის პატრონს წყლისათვის სჭირდებოდა.

როდესაც ჩაყარეს საძირკველი და კედლები ამოიყვანეს, დაჭირავებული მუშები გაისტუმრეს, ვითომდა სახლის ასაშენებლად პატრონს ფული აღარ ეყო.

ამის შემდეგ თვით რევოლუციონერმა მუშებმა ამოაშენეს სარდაფის თალი, დაატანეს სათადარიგო ხერხელი, ფიცრები დააფარეს და მიწით ამოაფხვეს. შემდეგ ჰები და სარდაფი ერთმანეთს საიდუმლო გვირაბებით თვითონ დაუკავშირეს. ამგვარად სტამბის შენობა უკვე მზად იყო. სახლის პატრონმა იგი ვითომ რკინიგზის მუშას ხერხაშვილს მიაჭირავა. სინამდვილეში კი ხერხაშვილის გვართი იმალებოდნენ ფარული სტამბის მომუშავენი.

სტამბის მშენებლობა დამთავრებული არც კი იყო, რომ ჩუღურეთიდან (თბილისის ერთ-ერთი უბანია) გადმოი-

ტანეს საბეჭდი მანქანა და აქ განაგრძეს საბრძოლო ფურცლებისა და პროკლამაციების ბეჭდვა. შემდეგ კი სტამბის მუშამ გ. ლელაშვილმა ი. ბ. სტალინის მითითებით ბაქოდან ჩამოიტანა სწრაფმბეჭდავი მანქანა. ის ნაწილ-ნაწილ ჩაზიდეს სარდაფში და იქ ააწყვეს.

სტამბისათვის საჭირო იყო აგრეთვე საბეჭდი ასოები (შრიფტი), რომლებსაც აწვდიდნენ მოწინავე მუშები სხვადასხვა

ნებადართული სტამბებიდან: პირველ ხანებში თუ ჯიბეებით ჩაჰქონდათ ცოტ-ცოტა შრიფტი, ბოლოს ისე გამდიდრდა სტამბა, რომ იქ ფარულად შეზიდული შრიფტის რაოდენობამ ოთხმოც ფუტს მიიღწია!

სტამბაში პირველად სამი კაცი მუშაობდა დიდიდან სადამომდე. თუ საჩქარო სამუშაო იყო, ღამესაც იქ ათევენენ.

ძალიან დაკვირვებული ადამიანიც კი ვერ შეამჩნევდა იმ საოცარ ამბებს, რაც ამ სახლში ხდებოდა: ზედა სართულში საცხოვრებელი ბინა იყო, ხოლო მის სარდაფში, ღრმად მიწაში, დღედღამ ფარული სტამბა მუშაობდა.

ერთ ოთახში ჩასახლდა შავ ქართულ კაბაში გამოწყობილი, დარბაისელი ქალი ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძე, მიხას დეიდა. მთელ დღეს ბაბე სახლში იყო, ამზადებდა სადილს, ჭლავებდა ოთახებს, რეცხავდა თეთრეულს, თავისუფალ დროს კი იჯდა ფანჯარასთან და ქსოვდა. როდესაც ბაბე ქუჩაში შეამჩნევდა ვინმე საეჭვო პიროვნებას, სწრაფად თითს დააქერდა კედლის ქვეშ ოსტატურად დამალულ ზარის ღილაკს. მერე, როცა დაინახავდა, რომ გზაზე მიმავალნი თვალს მიეფარნენ, კვლავ მივიდოდა ზართან და ღილაკს უკვე ორჯერ აქერდა თითს.

ერთი ზარი ნიშნავდა: „შეწყვიტეთ მუშაობა!“ ორი ზარი — „საშიში ალარაფერია, განაგრძეთ მუშაობა!“ სამი ზარი კი აუწყებდა: „ამობრძანდით ზემოთ, სადილი მზად არისო“.


— შენ ძალიან ბევრს მუშაობ, — ეუბნებოდა ბაბეს ცნობისმოყვარე მეზობელი ქალი, — სულ საქმიანობ, არ ილღები?

— რა ექნა, ჩემო კარგო, — უპასუხებდა ბაბე, — ხუმრობა როდია, ხუთ

სულს ვუვლი, ვურეცხავ, საქმელს ვუმზადებ...

— სად არიან მერე შენი „მდგმურები?“ — ეკითხებოდა მას მეზობელი და არ ჩქარობდა წასვლას.

— მუშაობენ, გენაცვალე, მუშაობენ მთელ დღეს და სადამოს. დაქანცული ბრუნდებიან შინ. ხომ იცი მუშაკაცის



გაკვირვებული მდგომარეობა! — დამშვიდებით ეუბნებოდა ბაბე მეზობელს.

ბაბეს „მდგმურები“ ოსტატურად იქცეოდნენ. ისინი სახლში ჭიდან აღიოდნენ; რამდენიმე ხანს ეზოში დარჩებოდნენ, დაისვენებდნენ, შემდეგ სამზარეულოში ჩავიდოდნენ, სადაც ბაბე მათ ფილაქურაზე საუზმეს უმზადებდა.

საუზმის შემდეგ ისინი ისევ თოკით ჩაეშვებოდნენ ქაში, გაივლიდნენ გვირაბით მეორე ქას, აქედან ხის კიბის საშუალებით აღიოდნენ სტამბაში და განაგრძობდნენ მუშაობას. ასოთამწყობები აწყობდნენ ასოებს, არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ რუსულ და სომხურ ენებზედაც. ზოგი საბეჭდ მანქანასთან ფუსფუსებდა და დღე-ღამეში ხუთი-ექვსი ათას საბრძოლო ფურცელს ბეჭდავდა, რომლიც შემდეგ სტამბიდან მალულად გამოჰ-

ქონდათ ხან ხილის ყუთებში ჩაწყობილი და ლოყაწითელი ვაშლებით დაფარული, ხან დეიდა ბაბეს კალათით, რომელსაც ზევიდან მწვანილი ეყარა. მიჰქონდათ ცხენშებმული ურიკითაც რკინიგზის სადგურზე, საიდანაც ავზანდინენ ქალაქებსა და სოფლებში და უგზავნიდნენ თვით დიდ ლენინსაც, რომელიც მაშინ საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

ასე ვადიოდა ხანი.

1905 წლის ნოემბრის დამლევი იყო. ამ დღეს საბეჭდი მანქანის ხმაური აღრე შეწყდა. დეიდა ბაბე მუშებს მალა ეძახდა. მუშებიც ავიდნენ ოთახში, სადაც მიხა ბოჭორიძე დახვდათ. მიხა მიესალმა მათ.

— ამხანაგებო, — დაიწყო მიხამ, — მეტი სიფრთხილე გვმართებს, სტამბას დაეძებენ...

მან ვერც მოასწრო ამ სიტყვების დამთავრება, რომ კაკუნმა ლაპარაკი შეაწყვეტინა. ბაბე აივნისაკენ გაექანა.

— ეი, ვინა ხარ მანდ, მალე გააღე კარი! — მოისმა ქუჩიდან ხმა.

— პოლიცია! — წამოიძახა მიხამ და ყველა დაფაცურდა, ყველამ რაიმე საქმე წამოიწყო.

— ახლავე, ბატონო, ახლავე! — გამოეხმაურა კაკუნს ბაბე, კიბე მარდად ჩაირბინა, გააღო კარი და სტუმარს მიმართა: — მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით!

პოლიციელმა ეზოს თვალი მიმოავლო.

— რა ამბავია აქ? — დაიღრიალა პოლიციელმა, — არის სახლში ვინმე?

— გახლავთ, ბატონო, რატომ არ იქნებიან? ჩემი „მდგმურები“ ხერხაშვილებია, ყველა შინ არის, ეს არის ახლა დაბარუნდნენ სამუშაოდან. — უპასუხა ბაბემ.

ამ დროს პოლიციელმა თვალი შეასწრო ეზოში ქათმებს, დაავლო ხელი ერთ ლამაზ ვარიას და გზას გაუდგა. ბაბემ იგი კარამდე გააცილა, მერე ავიდა და ყველაფერი უამბო ოთახში მყოფთ.

— დღეს სტამბაში მოგვიხდება დანაშაულები. — თქვა მიხამ. — სახლიდან გასვლა საზიფათოა, ეტყობა, გვითვალთვალდებენ! ერთიც ვნახოთ და კიდევ მოგვადგამს ქათმების მოყვარული ვაჟბატონი!

იმ დამეს ბაბე ფანჯარას არ მოშორებია.

პოლიციელები და ჯაშუშები გაფაციცებით დაეძებდნენ კვალს. მიუხედავად ამისა, სტამბაში მუშაობა არ შეწყვეტილა. ბოლოს, როდესაც 1906 წლის 15 აპრილს სტამბას თავს დაესხნენ, იქ აღარავინ დახვდათ, — მუშებს დროზე გაეგოთ მოსალოდნელი საფრთხე და იქაურობა მიეტოვებინათ.

ს. თაყაიანი  
ნახატები ბ. არინიშვილისა





# ქოჩორი

## მ. ბალახოვა

როგორც კი დამთავრდა გამოცდები, ალიკომ მაშინვე იყიდა სავარცხელი:

— ახლა კი ვეღარ მივართვი! მანქანით აღარ გადავიკრეჭ თმას! მით უმეტეს, გოგონებთან ერთად უნდა ვისწავლოთ და თუ გაკრეჭა იქნება, მაშინ ყველასათვის იყოს. გოგონები კი არასოდეს არ დათმობენ ნაწნავებს.

ზაფხულის განმავლობაში თმა წამოეზარდა ალიკოს, მაგრამ განა ეს ქოჩორია? აი, უფროსკლასელი ვალიკო რომ დაიქნევს თავს, ქოჩორი მთელ სახეს უფარავს.

ალიკოც დაიყენებს ნამდილ ქოჩორს.

როდესაც ალიკო დაბრუნდა ბანაკიდან, დედამ უთხრა:

— ეს რა უშნოდ გაქვს თმა, შვილო! როგორ გამახინჯებს!

უმცროსმა დამ ყურადღება არც კი მიაქცია მის ქოჩორს. რა თქმა უნდა, მას ნაწნავები აქვს და რატომ მიაქცევს სხვის ქოჩორს ყურადღებას!

დილაობით ალიკო თმებს ისველებდა, შუაზე იყოფდა და თავს ხილაბანდით იკრავდა. ათი წუთის შემდეგ ფრთხილად იხსნიდა, მაგრამ ვიდრე სარკესთან მივიდოდა, თმები კეთაზე ებურძენებოდა, ხოლო ქოჩორი შუბლთან გაფშეკილი ჰქონდა.

ალიკო გულს იმშვიდებდა: რაც გავჩენილვარ, სულ მკრეჭდნენ თავს და ქოჩორი ამიტომ არავითარ წესრიგს არ არის მიჩვეულიო.

მთავარია, რომ თმა დაუგრძელდეს. მანამდე კი, როგორი ქოჩორიც არ უნდა იყოს, მაინც ქოჩორია. თავს მაგრად რომ დიქნევდა, ქოჩორი ოდნავ ჩამოეკიდებოდა, სამაგიეროდ კისერი სტკიოდა. დედამ ეს შენიშნა და დატუქსა:



— რა დაგემართა, მაგ თავს რომ წარამარა იქნევ? მოეშვი თავის ქნევას.

კლასის დამრიგებელი ვერა მასწავლებელი საუკვედურის თვალთ გადახედვდა ხოლმე ყმაწვილების თავებს, მაგრამ ქოჩორების პატრონები მისგან არავითარ საფრთხეს არ ელოდნენ. მათემატიკის გაკვეთილის დაწყების წინ კი ცახცახებდნენ. მათემატიკის გაკვეთილს ტროფიმე მასწავლებელი ატარებდა. მასთან ხუმრობას ვერ ბედავდნენ.

ტროფიმე მასწავლებელს ვითომც არაფერი შეუშინევია. გაკვეთილის დასასრულს ყმაწვილები გათამამდნენ და ყველა შეუდგა თმის ვარცხნას და სწორებას. ალიკომ ჩაატარა თავისი საუკეთესო ნომერი — თავი ისე დაიქინა, რომ მერხის გადასაკეცმა ბრახვანი მოაღინა.

სწორედ აქ დაიქეჭა მესმა!

— აი რა, მეგობრებო, — თქვა ტროფიმე მასწავლებელმა, — შეწყვიტეთ ნერვიული მოძრაობა. ნუ იქეჭავთ თავებს და ხელებს ნუ იწმენდთ თმებზე.

კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყმაწვილებს სახეები წაუგრძელდათ. საბედისწერო სიტყვა „გაკრეჭა“ არ იყო თქმული, მაგრამ ყველა სავარცხელი ჯიბეებში ჩაიმალა, ხელები მერხებზე დაალაგეს, ქოჩორები გაუშეშდათ.

მას შემდეგ მათემატიკის გაკვეთილზე ალიკოს თავი ისვენებდა, მაგრამ სხვა გაკვეთილებზე...

— ალიკო! გაარჩიე დაფაზე დაწერი-



ლი წინადადება. — გამოიძახა ვერა მასწავლებელმა.

ალიკო გაშტერებული უყურებდა დაფას და დიდხანს ვეღარ მოიფიქრა, რა, ეწერა ზედ.

— გააგრძელე მოყოლა! — გაუმეორა მასწავლებელმა.

ალიკოზე წინ ლალი პასუხობდა და რაზე შეშერდა, ალიკომ ვერ გაიგო, რადგან იმ დროს ქოჩორს იგრესხდა.

ამდენ ხანს არც ერთი ორიანი, არც ერთი საყვედური მშობლებისაგან, არც ერთ მასწავლებელს არ დაუკლია ნიშანი ყოფაქცევაში. ახლა კი ზედღიზელ ემატება უსიამოვნება. დედა სკოლაში გამოიძახეს.

დედამ და მამამ არ მოუწონეს საქციელი და ურჩიეს:

— შეილო, გაიკრიჭე თმა!

..რას ჩამაცივდნენ? არაფერი ესმით. ბოლოს და ბოლოს თავი ჩემია. მათ რა ესაქმებათ!“

ერთხელ გაკვეთილზე ტროფიმე მასწავლებელმა დაფასთან ზურიკო გამოიძახა; ზურიკოს გულისყური ჰქონდა დაკარგული და დაბნეული პასუხობდა. მასწავლებელმა ყურადღებით შეხედა მის ხშირ თმას, შემდეგ მთელ კლასს გადახედა, თვალი შეაჩერა გიგლას თავზე, შემდეგ ალიკოზე და თქვა:

— ჰმ! ახალი მოდა შემოსულა. სამივემ ძირში უნდა გადაიღოთ თმა. გასაგებია?

როგორ არ არის გასაგები!

სადილის შემდეგ ალიკო დაღონებული შეუდგა გაკვეთილების მზადებას.

დედაც დაბრუნდა სამსახურიდან.

— როგორ არის საქმე, ბავშვებო?

უმცროსი და დღიურით ხელში მივიდა დედასთან, რომ კარგი ნიშნებით თავი მოეწონებინა, ალიკომ კი ჩაიბუტბუტა:

— არ გამოვეუძახებოვარ.

შემდეგ წყნარად მიუახლოვდა დედას:

— დედა, მომიცი ოთხმოცი კაპიკი გავიკრეჭ.

— დროც არის! მაგრამ დაიცა! რატომ ოთხმოცი კაპიკი? შენი თმის შეკრევა ახლა მანეთი და ოცი კაპიკი ღირს.

— მანქანით უნდა გადავადებინო. — ნაღვლიანად თქვა ბიჭმა.


ცოტა ხნის შემდეგ უშველებელი წაბლისფერი ქოჩორი დაეცა თეთრ ზეწარზე.

— კარგს შვრებით, ყმაწვილო, — უღარდელად თქვა დალაქმა, — უკეთესი თმა ამოვივით და ჰიგიენურიც არის.

სალამოს დედამ საპნით დაბანა თავი.

— რატომ იწმენდი კალმისწვერს თმაზე? მთლად მელნიანი გაქვს თავი! ცხვირს ნუ მანქავ, ძალიან ნუ გწყინს. თმები ამოვივა და ვიდრე გაგებრდება, იქნებ თავიც დაგიტკივანდეს.

გამოქართულებული ნ. თოფჩიშვილის მიერ.





## აკაკი წერეთელი

წელს შესრულდა ორმოცი წელი დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან.

აკაკის ლექსები, პოემები, მოთხრობები და პიესები ქართველი ხალხის საყვარელი ნაწარმოებებია.

აკაკი ბავშვებისათვისაც დიდი სიყვარულით სწერდა. ქვემოთ ვათავსებთ ნაწყვეტებს მისი ლექსებიდან, აგრეთვე ლექსს „უმაწვილი და პეპლა.“



\* \* \*

ბაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ჰფრენ  
ამ ეზოში დიდ-დილასო!  
ვერ მომპარავე, არ გატატან  
ჩემ პატარა წიწილასო!



\* \* \*

კორო, ქართლის შუაგულო,  
მოთაურო ქართლისათ,

ადრე დირსად წასიებული,  
დღესაც მოქმელო მართლისათ!

### ყმაწვილი და პეპელა

ჭრელი ზეზელა დაათრო  
და განბრუა იამა;  
მას მიეპარა ყმაწვილი,  
დაიჭირა და იამა.

ყმაწვილმა ხელი გაუშვა,  
გაფრინდა ნახი ზეზელა,  
და თითქოს ნიშნად მადლობის  
თავს ველებოდა ნელ-ნელა.

აღერსით უთხრა ზეზელას:  
„თავს რითი ირჩენ შენათ?  
როგორ არ გღაღავს მთელი დღე  
მოუსვენარი ფრენათ?“

ზეზელამ უთხრა: „მინდორში  
ვცხოვრობ მუ უზრუნველადო!  
იქ ეგავილები გამლილა  
სემს საზრდოდ, საწუწნელადო.“

რაც დღე მაქვს, ტკბილად ვატარებ,  
სემს ნებაზედაც დაუფრენო;  
მაგრამ დღეგრძელი არა ვარ,  
გამიშვი, ნუღარ მაცდენო.“



\* \* \*



ციცუნია კატათ,  
მაგრე რამ დავსატათ?  
ნუ სარ ჩვენზე გაბუტვით, —  
სეველა მოკვემატათ.



# მოგილოცავ, დედა!

შენი სიტყვა წმინდა  
მუდამ გულით დამაქვს,  
საყვარელო დედა.  
სადაც უნდა ვიყო,  
შენს ზრუნვას და ამავს  
ყველგან ვგრძნობ და  
ვხედავ.

მუდამ ფხიზლობს შენი  
მშობლიური თვალი,

გაგახარო ნეტავ! —  
გამოვიდე ქვეყნის  
ღირსეული ქალი  
სულ ოცნებობ. დედა!

დედი, სანატრელო,  
ფრთები მესხმის, როცა  
გაღიმებულს გხედავ.  
გკოცნი, საყვარელო,  
და რვა მარტის მოსვლას  
მოგილოცავ, დედა!

## არსომა ელანიძე

# ფუტკრის სამებნედა

ერთ სოფელში ცხოვრობდა განთქმული მონადირე. თავისი სიცოცხლე თითქმის მინდორში და ტყე-ღრეში ჰქონდა გატარებული. ამის გამო ხალხმა მას ტყის პაპა შეარქვა.

ერთ დღეს ტყის პაპამ გაის და ნიკოს შეუსრულა დიდი ხნის ნატვრა, ტყეში წაიყვანა ფუტკრის სამებნედა.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, ტყის პაპამ გუდიდან ქიქით თავლი აწოილო და პატარა ჯამზე გადმოსახა. უმალ ერთი ფუტკარი მოფრინდა, ჯამზე ჩამოჯდა და ხარბად დაეწაფა: გული რომ იჯერა, აცოცდა ჯამის კიდებზე. შეისწორა ფრთები და გაფრინდა.

ტყის პაპამ თვალი გააცოცა გაფრინდ ფუტკარს:

— ეიპოვით შენს თავლიან სახლს! — ჩაიბუტბუტა მან და ბავშვებს ფუტკრის მიმართულებით გაუძღვა.

გაიარეს ის ბუჩქი, რომელსაც ფუტკარმა თავზე გადაუარა, დიდ მუხას გასცდნენ, თელიანი გადასერეს.

— პირდაპირ უნდა ვიაროთ, რადგან დატვირთული ფუტკარი ყოველთვის სწორი მიმართულებით მიფრინავს. — უხსნიდა ბავშვებს ტყის პაპა და ნელა მიდიოდა, რომ ტყის შრიალში ფუტკრის ზუზუნი გამოერჩია.

თაფლის მაძიებლები ახლა ფერდობს უნდა შესდგომოდნენ, მაგრამ ტყის პაპა რატომღაც შეჩერდა და სმენად გადაიქცა.

გამა და ნიკომ გაარჩიეს, რომ ტყის შრიალს რალაც უჩვეულო ხმაური არღვევდა, მაგრამ ვერ მიხედნენ, რა იყო; ცოტა რომ წაიწიეს, — გარკვევით მოისმა ფუტკრის ზუზუნი, ფულურო ხეზე ბრახუნი, ბურტყუნი და ხმელი ტოტების მტკრევის ხმა!..

ტყის პაპამ ბავშვები იქვე წიფელს მოაფარა, თვითონ წინ წაიწია და რალაცს დაუწყა ზვერვა. შემდეგ მათ უსიტყვოდ ანიშნა და სწრაფად უკან მოაბრუნა. ბავშვები პაპას მიჰყვებოდნენ და ცდილობდნენ უხმაუროდ ევლოთ. ფუტკრის მაძიებლები იმ ადგილას მივიდნენ,



სადაც თავლიანი ჯამი დატოვებს და ახლა სხვა ფუტკრების კვალს ვაპყენენ. ცოტა ხნის შემდეგ იქაც მოესმათ ისეთი ზუზუნი, როგორც პირველად, მაგრამ ბურტყუნის, ფულურო ხეზე ბრახუნის და ხმელი ტოტების მტვრევის ხმა აღარ ერთვოდა.

— გესმით, ფუტკარი როგორ ირევა! აქვე ახლოს არის სადაც დაბინავებული, ვინც პირველად შეამჩნევს, მთელი თავლი მისი იყოს! — უთხრა ტყის პაპამ ბავშვებს: მან აღრევე შენიშნა ფუტკრის სადგომი, მაგრამ არ გაამზილა. უნდოდა მის პატარა მეგობრებს თვითონ ეპოვათ.

— აი, ფულუროც! — აღტაცებით წამოიძახეს ვიამ და ნიკომ და ევება მუხას მიაჩერდნენ.

მუხის ვიწრო ჩაშვებულ ხერელში შედიოდნენ და გამოდიოდნენ ფუტკრები; ახალმოსულებს უკანა ფეხებზე სხვადასხვა ფერის გუნდები ეკრათ — ყვავილების მტვრისაგან შეგლე-სილი; ფულუროდან გამოსულები კი საზრდოს მოსატანად ხელახლა მიფრინავდნენ.

ტყის პაპამ მუხის ტოტზე პატარა ფიჭვიანი დაჭკიდა, ზედ თავისი კოლმეურნეობის წააწერა, შემდეგ ფუტკრებს შეხედა და შესძახა: აბა, რა გინდათ ამ კუპრისფერ ფულუროში, ყვავილების ბალში ისეთ სასახლეს დაგიდგამთ, რომ ბრძოლივით ანათებდესო.

გახარებულმა ვიამ და ნიკომაც დატოვეს წარწერა მუხაზე. მათ ძლიერ აინტერესებდათ, იმ პირველ ფუტკარს რატომ მიანებეს თავი, მაგრამ რამდენჯერაც შეეკითხნენ პაპას, მან სხვა რამეზე ჩამოუფდო ლაპარაკი. ასე აცდევინა, სანამ ტყეს გასცდებოდნენ, და მერე თვითონვე დაიწყო:

— იმ პირველი ფუტკრის ბუდე ჩვენზე ადრე დათვის უპოვია, მას თქვენზე ნაკლებ როდი უყვარს თავლი. ის იყო რომ ბურტყუნებდა, ფუტკრებისაგან დაკბენილი გამწარებით ურტყამდა თათებს ფულურო ხეს: როცა დათვი დაქრილი ან დაკბენილია, საშიშია, ამიტომ ასე უხშირდ გამოვბრუნდით.

ბავშვებმა ერთიმეორეს შეხედეს და ფეხს აუჩქარეს...



## გაზაფხული

ალექსანდრა ბეგაშვილი

გვახარებდა გუნდაობა,  
გულს გვიტკობდა თოვლის ხვაი,  
თოვლი დადნა, დრო დაგვიდგა  
უფრო კარგი სანახავი.

ტყეები და ველ-მინდვრები  
მწვანე ფარჩით შეიმოსა.  
გაზაფხულო, გაზაფხულო,  
გვიხარია შენი მოსვლა.

თოვლისფერად ჰყვავის მსხალი  
ატამი კი წითლად ჰყვავის;  
თავზე გვათოვს ყვავილები  
და გვინერგავს გულში ხალისს

ვაზი სითბოს ღხენით ხვდება,  
ყინვისაგან დაზაფრული.  
დღეს მერცხალმაც გაიქროლა,  
მოგვახარა გაზაფხული.

ვფიქრობ, უფრო მშვენიერი  
სხვა ფრინველი არ იქნება!..  
ქვებს არ ვესვრი, კარგად მახსოვს  
ძია შიოს დარიგება.

ტყეები და ველ-მინდვრები  
მწვანე ფარჩით შეიმოსა  
გაზაფხულო, გაზაფხულო,  
გვიხარია შენი მოსვლა!





პრიმოლ იხედაკა

ნახატები ზ. ლეჟანსი

# ძილისგულა

ნაქერალას ქედის ახლოს  
 გადაშლილა ფართო ველი.  
 იქ რომ ერთი ბიჭი სახლობს,  
 დანავარდობს როგორც შველი.  
 აბა, მითხარ ვინ იქნება  
 ისე მარდი, ისე მკვირცხლი,  
 სად არ ისმის მისი ქება,  
 მისი გვარი ვინ არ იცის!..  
 ხემ ტოტი თუ შვარხია,  
 უმაღ იგრძნობს ბიჭი გელა.  
 მაინც დონდლოს ეძახიან,  
 ეს გაოცებთ ალბათ ყველას!  
 მაგრამ რაა საოცარი,  
 მე ძველ ამბავს გეტყვით მისას:—  
 ძილისგულა საკვირველი  
 არ უსმენდა არავისა.  
 წიგნს ხან თავქვეშ დაიდებდა,  
 ხან სახეზე იჩრდილებდა,  
 ვიდრე მზე სხივს აიკრეფდა,  
 გულიანად იძინებდა.  
 რაღა ექნა, ბოლოს დედამ  
 მოისაზრა ერთი რამე:  
 თხა მიანდო მოსავლელად,  
 ფერად შავი, როგორც ღამე.  
 პირველ დღესვე, ჩვენმა მწყემსმა  
 როცა მიღო წიგნზე კეფა,  
 ნანასავით შემოესმა  
 კიკინი და ძაღლის ყეფა.  
 თხამ მეზობლის გაშლილ ზვარში  
 სულ დაკვრიხა ნორჩი ვაზი...

იმის მერე წვეროსანზე  
 კიდე უფრო მოსდის ბრაზი.  
 ვინ გრძნობს გელას გაქირვებას,  
 თხა ანცია, მეტად ანცი,  
 აღარ აცლის წაძინებას,  
 სულის მოთქმას აღარ აცლის...  
 და, ჰა — ბიჭი მოცინარი  
 უბნის ქასთან გაჩნდა მალვით.  
 ჩამოსწია ოწინარი,  
 მიმოავლო ირგვლივ თვალი.  
 ქვით გაწყვიტა თოკი გვიმზე,  
 ვედროს დასწვდა უმაღ ტარში.  
 თქვა:—რადგანაც არეინ მიმზერს,  
 გადუშახებ ბარემ ქაში... —  
 გაიპარა შეუშჩნველად,  
 აჟრიალებს ტანში ცივად.  
 თუმცა დიდად ეურჩება,  
 თხა დაბა მაინც ფრთხილად.  
 წიგნს დაავლო ხელი ვითომ,  
 იქვე მიჯდა მუხის ძირას.  
 რომ შეხედოთ—სწავლობს თითქოს,  
 მაგრამ უკვე ტკბილად სძინავს.  
 მიუყრდნია ხეზე თავი,  
 ჰქრის ნიავი, ჩრდილიც ფარავს...  
 წუთით შედგა ქასთან მგზავრი  
 და მწყურვალად გაჰყვა შარას.  
 წყალი რითღა ამოიღონ,  
 თოკი—რქაზე, ქაში—ვედრო.  
 თხაც მშვიერი უნდა იყოს,  
 ოღონდ გელას ძილი ერგოს!..

მაგრამ, აბა, ვის შერჩება  
ცული ქვევა, ცული საქმე?!  
თხა თოკს როგორ შეეჩვევა,  
დაბაკუნობს იქით-აქეთ.  
თოკს ვერ იტანს, ძლიერ უკვირს,  
იქაჩება ვაგიფებით.  
ბაკიბუკი, ბაკიბუკი,  
ისმის ხმები ნაბიჯების.  
მოუარა მუხას მყისვე,  
მოეხვია თოკი გელას.  
შეიშმუშნა, მაგრამ ისევ  
ძილს მიეცა უზრუნველად.  
თხამ მოხაზა მარდად რკალი,  
შავმა წვერმა უწყო ტოკვა.  
კვლავ დამოკლდა თოკი წამით,  
კვლავ შებოქა ბიჭი თოკმა.  
წვეროსანმა კიდევ დიდხანს  
იტრიალა მუხის ირგვლივ.  
ვერც კი იგრძნო ძილში ბიჭმა,  
ვით მიება ხეზე იგი.  
ბაკიბუკი, ბაკიბუკი, —  
თხამ ხელახლა იწყო რბენა.  
დაუკარით თუნდა ბუკი,  
გააღვიძებთ განა გელას?..  
რომ მოექდო თოკი მაგრად,  
მხოლოდ მაშინ დაფრთხა ძილი.  
გაახილა თვალი, მაგრამ  
ვერ გაალო შიშით პირი...  
ცხარე ცრემლი გადმოსცვივდა,  
აკანკალებს, ყინავს თითქოს.  
თვისი თხა რომ უდგას წინა,  
მგელიაო, ასე ფიქრობს.

რა უნდა ჰქნას? ახლა მარტო  
გაიძახის: — დედა, დედა! —  
თხაც კიკინით აპყვა პატრონს:  
— ბე-ბე... ბე-ბა! ბე-ბე... ბე-ბა! —  
დედის ხმა და დედის მოთქმა  
გრილ ნიავე-ქარს მოაქვს შორით.  
ის კი აგერ ხესთან შფოთავს,  
გაბაწრული, როგორც დოლი  
თხამ უმატა კიკინს ძლიერ,  
გელამ—ოხვრას, მოთქმას, ტირილს,  
როგორც იქნა მიაკვლიეს  
ბიჭი ხეზე მითოკილი.  
და უმაღვე ყველა თვალში  
გაქრა დარდი, გაქრა შიში,  
რადგან ნახეს თხა და ბავშვი  
სასაცილო გასაქირში.  
ბიჭს დაცქერდა ტოტეზიდან,  
აშუქებდა მთვარე ბადრი.  
წელზე თოკი მოხვეოდა,  
ისე როგორც კიგოს ბარდი.  
თავს მალავდა, ქვეითინებდა,  
გამქრალიყო ისლა სურდა,  
ირგვლივ ყველა ქირქილებდა,  
წუხდა მხოლოდ ძილისგულა.



# რატომ აქვს კოდაღას გრძელი ნისკარტი

ზღაპარი



გაზაფხულზე კოდაღამ წყაროს ნაპირას ერთ მაღალ ხეზე მოიკალათა. დღისით აქეთ-იქით დაფრინავდა, ღამეს კი ხეზე ათევდა. წყარო ისეთი რიხით მოჩხრიალვდა, რომ მთელ ტყეს ახმინებდა.

მის ჩუხჩუხზე იღიმებოდა ნაპირზე წამოზრდილი ია და ენძელა. ხის ფოთლები ტაშს უკრავდნენ და გაიძახოდნენ:

— ბარაქალო, ჩვენო წყაროვ, როგორ გიხდება ეგ ჩხრიალი, დღედაღამ გვალხენ და გვატკობ.

ხის კენწეროზე წამომჯდარი კოდაღა კი დაცინვით ამბობდა:

— ნეტავ რას გარგებთ მაგის ჩხრიალი, რისთვის გკირდებათ? მე თუ მკითხავთ, ამ წყაროს პატარა გუბე მირჩვენია, დასალევადღაც მეყოფა და ხმაურითაც თავს არ მომაბეზრებს.

— რას ამბობ, კოდაღა! კარგსა და ავს ვერ არჩევ? ბაყაყების გუბე გირჩვენია ჩვენს ჩუხჩუხა წყაროს? — გაიკვირვა იამ.

— აქაც წყალია და იქაც. რომელსაც დალევ, განა სულ ერთი არ არის?

ამდენი რახრახი რაღაა? წუხელ მთელ ღამეს ვერ დავიძინე.

— აჰ, რას ამბობ? — დაუმატა ენძელამ, — ეს წყარო რომ არ იყოს, ჩვენ როგორ უნდა გვეცოცხლა?

— შენ ვინღა ხარ? — ჩამოსძახა კოდაღამ, — წყაროს ჩხრიალმა თავი მომაბეზრა, თქვენთვის დამითმია ეს წყარო. წავლა, ისეთ ადგილს მოვძებნი, სადაც მშვიდად დავიძინებ.

კოდაღა გაფრინდა. წყარომ მოისმინა კოდაღას სიტყვები, არაფერი კი არა თქვა, მხოლოდ ჩაიცინა.


დადგა ზაფხული. ტყესა და მდელის ზურმუხტის ფერი გაუხუნდა. სადაც გუბეები იყო, სიცხისგან მთლად ამოშრა. რამდენიმე დღეა კოდაღა გამწარებით დაფრინავს, წყალს ეძებს და ვერ უპოვია. წყურვილისგან ხახა ვაუშრა. დილას ფოთლიდან რომ დალია ნამი, ყელამდეც ვერ ჩასწვდა. უნდოდა წყაროზე წასულიყო, მაგრამ ვერ ბედავდა, თავისი სიტყვებისა რცხვენოდა. ბოლოს ისე შეაწუხა წყურვილმა, რომ გადასწყვიტა მიჰპაროდა და ისე დაეღია. გადასწყვიტა და წავიდა კიდევ.

წყარომ რომ მიუხანლოვდა, ჩუხჩუხი შემოესმა. კოდაღა შეკრთა, ჯავს მოეფარა და თავი ბალახებში შეჭყო. რაც შეეძლო, კისერს წყლისაკენ სწევდა, თან ფრთხილობდა, წყარომ არ დამინახოს. დიდხანს წვლობდა, თავი ბალახებიდან ვერ გამოეყო და ნისკარტიც ისეთი პატარა ჰქონდა, რომ წყლამდე არა სწვდებოდა.

— ეჰ, რა იქნებოდა, გრძელი ნის-







კარტი მქონოდა?—ამოიკენესა კოდალაძე.  
 იქვე მახლობლად ბელურა ბალახის  
 თესლს წიწკნიდა. გაიგო თუ არა კოდა-  
 ლას ნატვრა, მისკენ წავიდა. მიწაზე  
 გართხმული, ბალახებში თავშეყოფილი  
 კოდალა რომ დანახა, გაუკვირდა, უნ-  
 დოდა ეკითხა: — რათა წვალობ, ძმობი-  
 ლო, რატომ არ მიხვალ, თავისუფლად არ  
 დალევ წყალსაო, მაგრამ ვერ გაბედა, მე-  
 ტირრობად არ ჩამითვალოსო. კარგა ხანს  
 უყურა ბელურამ მის წვალებას. მეტისმე-  
 ტად კეთილი გული ჰქონდა, უნდოდა  
 დახმარებოდა, მაგრამ ვერაფერს ახერ-  
 ხებდა. ბოლოს რაღაც გაახსენდა, გა-  
 ხარებული მეორე მხარეს გაფრინდა,  
 ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა, თან უცხო  
 ბალახი მოიტანა, მიუახლოვდა კოდალას  
 და ნისკარტზე მოუსვა. ნისკარტი დაგრ-  
 ძელდა და უცბად წყაროს ჩუხჩუხა ტლ-  
 ლას მისწვდა. კოდალამ ხარბად დალია  
 წყალი. კარგად რომ იჯერა გული, ხმა-  
 მალლა წამოიძახა:

— რა გემრიელია, რა კარგია!  
 — ვინ ლაპარაკობს? — გაეპასუხა წყა-  
 რო, — თითქოს ნაცნობი ხმა არის!

კოდალა ვეღარ დაიმალა და ნაპირ-  
 ზე მორცხვად წამოადგა.

— შენა ხარ, კოდალა? — აღერსით  
 შეეკითხა წყარო, --სადა ხარ, სად დაი-  
 მალე? შენ ისევ ისეთი პატარა ხარ, ნის-  
 კარტი კი გაგზრდია. რატომ?

კოდალამ ცალი თვალი მოხუჭა და  
 ნისკარტს ისე დახედა. დარწმუნდა თუ  
 არა, რომ ნისკარტი დაგრძელებოდა,  
 გაბრაზებულმა ბელურას გადასძახა:

— შენ, ვი, სადა ხარ? როგორც და-  
 მიგრძელე ეს ნისკარტი, ისე დამიმოკლდე,  
 თორემ ამ ნისკარტით შენვე მოგწვდები  
 და სულ ბურტყელს აგადენ!

ბელურა აბუზული იდგა. ეშინოდა,

მართლაც არ ჩამცხოს ნისკარტიო. უცბად  
 წყაროს ხმა გაისმა:

— რა გაბრაზებს, კოდალავ? აქამდე  
 მხოლოდ შენს თავზე ფიქრობდი, დღე-  
 იდან კი სხვისი დახმარებაც შეგიძლია.

— აბა როგორ? — ჰკითხა კოდალამ.

— გესმის აგერ იმ მუხის კენესა?

კიები უქამენ გულ-მკერდს. შევლა კი  
 მხოლოდ შენ შეგიძლია. წადი, გრძელი  
 ნისკარტით მოაშორე კიები. ისიკ განი-  
 კურნება, შენც ლუკმას იშოვნე და შე-  
 ნი ნისკარტიც სათაკილო აღარ იქნება.

კოდალამ დაუჯერა წყაროს, მაშინვე  
 გაფრინდა მუხისაკენ და მთელ დღეს  
 მკვედელივით აკაკუნებდა.


— აკაკუნე, აკაკუნე.—იციროდა წყა-  
 რო, — არასდროს არ მომწყინდება შენი  
 ხმა. ვიცი, კეთილ საქმეს აკეთებ.

კოდალას გაახსენდა თავისი სიტყვე-  
 ბი, ცოტა ხანს თავი ჩაღუნა, შერცხვა.  
 მაგრამ მალე ისევ გააგრძელა კაკუნი.  
 ისე შეუეყვარდა თავისი საქმე, რომ აღარ  
 მოუსურვებია ნისკარტის დამოკლება.

მას შემდეგ ყველა კოდალას გრძელი  
 ნისკარტი აქვს.

6653





# ყიცილოჩინა მამალი

მონაწილეობენ:

**მამალი, კურდღელი, მელია და მურია**


**მამალი:** ყიცილიყო! მამალი  
კობტა ვარ და ფრთამალი,  
ტყეში წავალ მარტო,—  
მუხლი გავიმართო. (ცეკვავს)

**კურდღელი:** ნელო, ძმაო, ნელო,  
არსად იყოს მელა!  
მოგიტაცებს მელია,  
მერე შველა ძნელია!

ხელს არ გახლებ, არა,  
ამ ჩემს კულსა ვფიცავ.

**კურდღელი:** არა, ძმაო, არა!  
ნუ უჯერებ მაგას,  
კარგად არის, კარგად,  
მხოლოდ თვალეებს ნაბავს.

**მამალი:** მომატყუოს მელიამ?  
აბა, რა სათქმელია!  
აუუწითლებ ყურებს,  
მე ვერ მომატყუებს!



**მელია:** ოჰ, ავად ვარ, ავად...  
მოდით სანახავად.  
ველარაფერს ვხედავ,  
ვაი, ვაი, დედავ.

**მამალი:** ყიცილიყო, ყიცილიყო,  
ავად არის მელია.  
დაუხუჭავს თვალეები,  
ველარ გაუხელია!

**მელია:** ძლიერ მენატრები,  
სად ხარ, მამლაყინწავ?

**მელია:** ვაი, ვაი, მცხელია,  
რა დღეში ვარ მელა...

**მამალი:** უჰ, საწყალი მელა,  
დავეხმართო ყველა!

**კურდღელი:** განგებ ამბობს ამას,  
მოგატყუებს მამალს.

**მამალი:** მე ვინ მომერევა,  
ამ ჩემს დეხებს ხედავ?  
მე მოვარჩენ მელას,  
შენ თუ ვერა ბედავ.



# ს რ ა უ ჯ ე ნ ტ ე ლ ა მ ე ლ ა რ ა

მელია: ახლოს მოდი ერთი,  
დამიშვეწე გვერდი...

კურდღელი: ფრთხილად იყავ, ფრთხილად!  
თვალი გაახილა.  
(მელია მაშალს მიარბენინებს)

მაშალი: ყიყლი... მომეშველეო,  
დამიჭირა მელამ.  
ყიი! მომატყუა,  
თვალი დამიბნელა!...

კურდღელი: მურა, სად ხარ, მურა,  
მიეშველე, მალე!

მიფრიალებს გული...

კურდღელი: შე საბრალო, შენა,  
რად არ მივდე ყური?

მურია: (ბრუნდება) გადავარდა ხევში  
თქვენი მელაკულა.  
ველარ მობრუნდება,  
ალბათ გაიგულა.

მაშალი: ყო-ყო, ყო-ყო, ყო-ყო,  
როგორ გმადლოო, როგორ!

მურია: ახლა ქკუით იყავ,  
ყოყლოჩინა ნუ ხარ.



ოჰო, მორბის მურა,  
შენ კი გენაცვალე!

მურია: ჰამუ, ჰამუ! ჰამუ!

ვერ წამიხვალ, ვერა! (მისდევს)

კურდღელი: დახე, როგორ გარბის  
მელა გაიძვერა!  
გამოუდგა მურა,  
კარგად შეახურა.

მაშალი: ყო-ყო, ყო-ყო, რო-გორ

გადაურჩი მელას,—  
ნულარაფერს სწუხარ.


კურდღელი: დამიშვიდე გული,  
ნულარ ტირი, ნულარ.

მურია: აბა, ლხინი ხელად,—  
მამლის მოსალხენად!

ყველა: (ერთად) ჩვენი მამლაყინწა,  
ალარ გაიბღინძა!

(დევანუნ)

# თავნება და თუნა



ბავშვებო, ამ ნახატების მიხედვით შეადგინეთ მოთხრობა

ყდის მხატვრობა გულთუნის გრ. ჩირინაშვილს



რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მკეველა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაჭკოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამომცემის ოცდამეჩვიდე წელი წასნი 2 მან.

Д И Л А — ежемесечный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 3, март, 1955 г. Тбилиси, Листа 14. საბლიტვაში, რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟინისი 14. 3 საბო. ტელ. 5-37-38 გამოცე. შეჯვ. № 61 სტამბის შეჯვ. № 140/261 ტირაჟი 12.000 შე 00367 ტექსტი ანუილია პოლიგრაფიკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, ეზრნაღი დაბეჭდილია ოჯსტის სისტემის მიხედვანაზე „ზარია ესტოკას“ სტამბაში.